პ რ ო ე ქ ტ ი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №**

2025 წლის ---- ივლისი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

აპარატის უფროსის მ/შ მ. ბერაძე

შეთანხმებულია

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482518876**
თარიღი: **07/07/2025**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გიგზავნით მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიშს 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

დანართი 5 ფურცლად.

პატივისცემით,

გრიგოლი ყურაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

# მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2025 წლის I და II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ, დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობის ძირითადი აქცენტები მიმართული იყო 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამებისა და პროექტების გათვალისწინებულ ვადებში დასრულებისა და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

2025 წლის განვლილ პერიოდში გრძელდებოდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში 2024-2025 წლების დაფინანსების ფარგლებში რგ(პ) ფონდის მიერ დაფინანსებული საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება - განახლდა 2025 წელს პრიორიტეტულად განსახორციელებელი პროექტების ნუსხა, შედგენილი საპროექტო წინადადებები განხილული და მოწონებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

**საანგარიშო პერიოდში გაფორმდა** და მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების 29 ინფრასტრუქტურული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს რგ(პ) ფონდის მიერ დაფინანსებული მუნიციპალიტეტის 11 სოფლის სხვადასხვა უბნებსა და ქუჩებში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. მათი ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 6 320 792 ლარია, პროექტი გარდამავალია და მთლიანად დასრულდება 2026 წელს. პროექტებით გათვალისწინებულია და სამუშაოები განხორციელდება

სოფელ ხომულში 26-ე ქუჩასა და შიდა ქუჩებზე, სოფელ გვიშტიბში ბენდელიანების, კირთაძეების და ნიჟარაძეების უბნებში, ასევე პირველ ქუჩაზე პირველ ჩიხში, ჩავჩიძეების უბანში და №17 ქუჩაზე, სოფელ თერნალში მე-15, მე-18, 21-ე ქუჩებზე და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში, სოფელ ქვიტირში N4, N5, N10, N11, N22, N25 და პირველი ქუჩის მე-11, მე-13, მე-7 ჩიხებში, სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანში, სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში, გზების მოწყობა სოფელ ყუმისთავში ბაღათურიების უბანში, ასევე სვანიძეებისა და სილაგაძეების უბნების დამაკავშირებელი გზაზე, სოფელ წყალტუბოში №28 და №30 ქუჩებში, სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში, ასევე სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა სასოფლო გზებზე.

საანგარიშო პერიოდში 4.5 მლნ. ლარია მიმართული ადგილობრივი ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამული მუხლებიდან საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის.

გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: კერძოდ, გეგუთში, ზარათში, მაღლაკში მე-10 ქუჩის 1-ელ და მე-2 ჩიხებში, მე-15, მე-18, მე-19 და 42-ე ქუჩებზე, ქვილიშორში ცენტრალური გზის, ქვიტირში მე-19 ქუჩაზე, სოფელ ცხუნკურში, ასევე ქალაქ წყალტუბოში აფხაზეთის, ბარათაშვილის, ჩახრუხაძის და ხანძთელის ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სახელშეკრულები ღირებულება 2950000 ლარია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 415366 ლარი.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მ/ წლის იანვარ- ივნისის თვეებში საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის შესაბამის სატრანსპორტო კომპანიას აუნაზღაურდა - 221960 ლარი.

მიმდინარეობს ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკის ტერიტორიაზე ჯორჯ ბალანჩინისა და შალვა ნუცუბიძის მემორიალური ბიუსტებისა და კვარცხლბეკის მოწყობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, სოფელ ზედა ქვილიშორში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ მომზადდა საპროექტო წინადადებები და შესყიდული იქნა 146000 ლარის ღირებულების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. გამოცხადდა ელ ტენდერი შემდეგ სამუშაოებზე: ქალაქ წყალტუბოში, მუსიკალური სკოლის შენობისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიის კლუბის რეაბილიტაციის, ქ. წყალტუბოში, ხანძთელის ქუჩის გაგრძელებაზე საბავშვო ატრაქციონების მოწყობის, შანიძის, დედა ენისა და 9 აპრილის (დევნილთა დასახლება) ქუჩებზე სკვერების მოწყობის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში ფანჩატურის მოწყობის, სოფელ ოფშკვითში და სოფელ თერნალში სკვერების მოწყობის, ქალაქ წყალტუბოში, შანიძის ქუჩაზე, კოლხეთის ქუჩაზე და ბესიკის ქუჩაზე, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: უკანეთში, მუხიანში, რიონში, ქვიტირში, ბანოჯაში, გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) და ზედა მესხეთში სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის, ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის (დევნილთა დასახლება), დედა ენის (N20 ბინის მიმდებარედ), ხვამლის, ლერმონტოვისა და ნიკოლაძის ქუჩებზე, 9 აპრილის 1-ელ შესახვევში (მე-2 საჯარო სკოლის მიმდებარედ), ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში (მეორე უბანი), სოფელ თერნალში და სოფელ გვიშტიბში

სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება ქალაქ წყალტუბოში, სპეციალურად გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ხელოვნურ საფარიანი, თანამედროვე სტანდარტების რაგბის მოედნის მშენებლობის, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის.

მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება სოციალურად დაუცველი შვიდი ოჯახისათვის კერძო ტიპიური საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 428399 ლარია.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული მუხლიდან მიმდინარე წელს 630000 გამოიყო. გამოყოფილი დაფინანსებით გაფორმებულია ხელშეკრულებები და 11 სხვადასხვა მისამართზე მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები. 7 მისამართზე გამოცხადებულია ტენდერები სამუშაოების შესყიდვაზე.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მ/ წლის ბოლომდე **დასრულდება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში** დაფინანსებული სამუშაოები, რომლებიც ტრადიციულად მოსახლეობის აქტიური ჩართულობით შეირჩა. სულ ამ მიმართებით გამოყოფილია 704 ათასი ლარი. განხორციელდება 74 სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. სხვადასხვა ლოკაციებზე გამავალ შიდა სასოფლო გზებზე დაიგება ბეტონის საფარი, მოეწყობა გარე განათების

ქსელები, სკვერი, მოეწყობა ფანჩატურები და თავშეყრის ადგილები. შეძენილია სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები და ა. შ. )

სამსახურის მიერ სააგარიშო პერიოდში მომზადდა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა ქვემოთ ჩამოთვლილი ტენდერების სატენდერო განცხადებები, სატენდერო დოკუმენტაციები, ხელშეკრულებების პროექტები და სატენდერო კომისიის სხვა დოკუმენტაციაები. სულ გამოცხადდა 47 ელექტრონული შესყიდვის პროცედურა ( მათ შორის 45 ელ. ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT), 1 კონკურსი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ და 1 ორეტაპიანი ელ. ტენდერი. დარეგისტრირდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული 82 ხელშეკრულება და განხორციელდა მათი ატვირთვა თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ მოდულში (CMR).

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხილული და შესწავლილია მოქალაქეთა 331 განცხდება და წერილი. თითუელ მათგანზე გაცემულია არგუმენტირებული და კვალიფიციური პასუხი. განცხადებების თითქმის 60% გათვალისწინებულია, კონტროლზეა აყვანილი ან შეტანილია შემდგომ ეტაპზე განსახორცილებელი სამუშაოების ნუსხაში.

სამსახურის უფროსი: